ალმაანი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 8 (288) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 28 აპრილი



თბილისი ლენინის მოედანი

ლენინი და საქართველო

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის უკვდავ სახელთან არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ბრძოლა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ლენინის თხზულებებში, კრებულებსა და პირად მიმოწერაში მოიპოვება 300-მდე ადგილი, რომლებიც საქართველოს შეეხება. დიდმა ბელადმა ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე დაამყარა კავშირი საქართველოსთან.

ლენინი ჯერ კიდევ 1893-1894 წლებში გასცნობია საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას და საქართველოში მარქსისტული, რევოლუციური მოძრაობის ამბავს. ლენინის წერილებში თბილისი პირველად ნახსენებია უკვე 1894 წლის მაისს.

ლენინის ნაშრომების შემოტანა და გავრცელება საქართველოში იწყება 1895 წლიდან, ხოლო შრომების თარგმნა ქართულად — 1903 წლიდან. ამ წლის თებერვალში ითარგმნა ბროშურა „სიტყვები ნიუეგოროდის მუშებისა, თქმული სასამართლოს წინაშე“, რომლის წინასიტყვაობა ლენინს ეკუთვნის. ამავე წელს აპრილ-მაისში ითარგმნა ლენინის ნაშრომი — „თვითმპყრობელობა ირყევა“.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის სწორედ ქართველებს ერთ-ერთ პირველთაგანებს დაუწყიათ ლენინის შრომების თარგმნა-გამოცემა. 1907 წლის 14 მარტს გერმანულ ჟურნალ «Die neue Zeit»-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია — „სათათბიროს არჩევნები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა“. სულ რამდენიმე დღეში ეს სტატია გერმანულიდან ითარგმნა და გაგრძელებებით დაიბეჭდა ქართულ გაზეთ „დროს“ 1907 წლის 7 და 8 აპრილის ნომრებში.

ლენინის თხუთმეტამდე წერილი თუ ნაშრომი პირველად ქართულ ენაზე გამოქვეყნდა.

გამორკვეულია აგრეთვე, რომ ქართველ რევოლუციონერებს ლენინთან მიმოწერა დაუწყიათ 1901 წლიდან. პირველი რევოლუციონერი-მარქსისტი, რომელმაც მიმოწერა დაიწყო ლენინთან, იყო ლადო კეცხოველი. 1902 წლიდან მიმოწერას იწყებენ აბელ ენუქიძე, იოსებ სტალინი, მიხა ცხაკაია, სერგო ორჯონიკიძე, მალაქია ტოროშელიძე, მოგვიანებით შალვა ელიავა, ფილიპე მახარაძე და სხვები.

ლენინი პირადად იცნობდა საქართველოს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა დიდ ნაწილს, ბევრ მათგანთან მეგობრობა აკავშირებდა, ქართველთაგან ლენინს პირველად შეხვედრია მალაქია ტოროშელიძე 1904 წელს. შემდეგ მიხა ცხაკაია, იოსებ სტალინი, უფრო გვიან სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა. ამის შემდეგ ძალიან ბევრი ქართველი გაეცნო და საუბრები ჰქონდა ლენინთან.

ლენინი დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს ბოლშევიკებს, იძლეოდა რჩევა-დარიგებას, მითითებებს, ყოველთვის იყო იმის კურსში, რაც საქართველოში ხდებოდა.

ლენინის იუბილესათვის მზადების პერიოდში საფრანგეთში გამოვიდა გამოჩენილი ფრანგი კომუნისტი მწერლის, ისტორიკოსისა და პუბლიცისტის ჟან ფრევილის წიგნი — „ლენინი პარიზში“. ამ წიგნში გადმოცემულია ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც საქართველოსთან ლენინის ურთიერთობას ეხება და მანამდე სრულიად უცნობი იყო.

აი ეს ამბავიც.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ქალაქ ნიცის ორგანიზაციის მდივანი და „ლუმანიტეს“ კორესპონდენტი, შემდეგში თვალსაჩინო კომუნისტი ჟან ნუველი ლენინს გასცნობია ნიცაში 1909 წელს, რის შემდეგაც იგი ხშირად დადიოდა ლენინთან. ჟან ნუველი გატაცებული ყოფილა რუსეთში რევოლუციური მოძრაობით და გადაუწყვეტია რუსეთში ჩამოსვლა, რისთვისაც საფრანგეთის ერთ-ერთმა საჰქციო საზოგადოებამ, რომელიც ხე-ტყით ვაჭრობდა, ჟან ნუველს გაუკეთა საბუთი, რომ თითქოს მას, როგორც ხე-ტყით მოვაჭრეს, დავალებული აქვს ჩავიდეს საქართველოში და შესყიდვის მიზნით შეამოწმოს ჭუთაისის გუბერნიაში არსებული

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ადამიანის ნეტის დიდი ადამიანი

ლენინის ადგილი არ მოიძებნება კონტინენტი, სახელმწიფო, ქალაქი თუ სოფელი, სადაც არ იცოდნენ მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი, სადაც მას არ ჰყავდეს თაყვანისმცემლები, მიმდევრები, მოწაფეები და მისი საქმისათვის ერთგული მებრძოლნი. კაცობრიობის ისტორიაში არ არის ადამიანი, რომელიც სარგებლობდეს ისეთი საქვეყნო აღიარებით, როგორითაც სარგებლობდა და სარგებლობს ლენინი. „ლენინი ახალი სამყაროს მამაა. ამ სამყაროს წარმატებებს წარმოუდგენელი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს. გულითად სალამს გიძღვნით ყველას — ლენინის შვილებსა და შვილიშვილებს“. — ეპატონ სინკლერი (აშშ).

ლენინმა საფუძველი ჩაუყარა ახალ ეპოქას, შექმნა ახალი სამყარო, მუშათა და გლეხთა ახალი სახელმწიფო, რომელსაც საფუძვლად დაედო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის დამხობა, შრომის პატივისცემა, ყველაფერი, რაც კი ხალხების ბედნიერებას, ადამიანთა ბედნიერებას ემსახურება. „თუ ბოლომდე მივიყვანთ მის ექსპერიმენტს, თუკი სხვა ქვეყნები მიჰბაძავენ მის მაგალითს და იწამებენ მის სწავლებას, თუკი ეს დიადი კომუნისტური ექსპერიმენტი გავრცელდება მთელ მსოფლიოზე, ჩვენ მოწმენი ვიქნებით ისტორიის ახალი ერისა“. — ბერნარდ შოუ (ინგლისი).

ლენინს განსაკუთრებით სათაყვანებელი ადგილი უჭირავს მსოფლიოს ყველა ხალხის მუშათა, მშრომელთა გულებში, ადამიანების შეგნებაში, რომელთაც შრომა და გარჯა უწმინდეს მოვალეობად მიაჩნიათ ქვეყნად. „ლენინს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ექუთვნის მუშათა გულებში, და არავითარ ბრძოლასა და ცილისწამებას არ შეუძლია შეცვალოს მისდამი მათი დამოკიდებულება“. — მარტინ ანდერსენ-ნექსე (დანია).

ლენინი იყო ქვეყნად არსებულ ყველა დროისა და საუკუნის ადამიანთა შორის უსპეტაკესი და უკეთილშობილესი ადამიანი, კაცური კაცი, ადამიანური სინდისის უბადლო განსახიერება, თავმდაბლობის, თანასწორობისა და უანგარობის უდიდესი მოვლენა. „არც ერთმა არ უნდა ჭამოს ნამცხვარი, სანამ ყველა არ მიიღებს პურს“. მაგრამ იყო დღეები, როცა პურიც კი არ იყო საკმარი. ლენინი იღებდა ზუსტად იმდენს, რამდენსაც სხვა დანარჩენები იღებდნენ. იყო ისეთი დღეებიც, როცა პური სრულიად არ იყო. იმ დღეებში ალარც ის იღებდა პურს“. — ალბერტ რის ვილიამსი (აშშ).

ლენინი იყო და დარჩება კაცობრიობის ყველა დროისა და საუკუნის უდიდეს თეორეტიკოსად ადამიანთა ურთიერთობისა და სოციალურ-ეკონომიური კანონების დადგენის საქმეში. მან თავისი სიცოცხლისა და მოღვაწეობის არც თუ ხანგრძლივი წლების მანძილზე შექმნა მსოფლიო აზროვნების სწორუპოვარი საგანძური, ჰუმანისტური-აზრის საუნჯე, რაც უანგაროდ დაუტოვა მსოფლიოს ხალხებს და მით საშვილიშვილოდ დაიმკვიდრა ბეჭდურ სიტყვაში, გამოცემულ წიგნთა ავტორებს შორის შინაარსობრივად და რაოდენობრივად უპირველესი ადგილი. „ლენინმა ისტორიას მისცა თავისი მრავალტომიანი შრომები. მას თავისი ტალანტი მიწაში არ ჩაუტანია. გენიალურ მებრძოლსა და შემოქმედს — ლენინს, სინდისის უქეჯნავად შეეძლო ეთქვა, რომ არქიმედის შემდეგ მან პირველმა შეძლო დედამიწა აღემაღლებინა სამყაროსეული ლითარგიიდან“. — მიროსლავ კრლეჟა (იუგოსლავია).

ლენინმა აღმოაჩინა ყველაზე უტყუარი თეორია და პრაქტიკული გზა კაცობრიობის შემდგომი განვითარებისა და პერსპექტივებისა. ლენინმა გზა გაუკვლია მსოფლიო ერებს იმ ერთადერთი საკაცობრიო პროსპექტისაკენ, რომელსაც შეუძლია ადამიანი მიიყვანოს კაცთმოყვარეობის, სამართლიანობისა და ბედნიერების უბრწყინვალეს ჰორიზონტამდე. ისტორიის ჟამიანობით დავრდომილ და განწირულ ადამიანთა მასებს შთაუნერგა უშრეტი ენერგია, რაც საფუძველი და გარანტიაა კაცობრიობის ნათელი მომავლისა. ლენინმა „თანამედროვე აზრი, უპერსპექტივო ძიებაში რომ დაბორიალობდა, მიიყვანა შემოქმედებით დაფუძნებამდე, ცოცხალ პრაქტიკამდე, გაანაყოფიერა რევოლუციური ლოგიკით, რევოლუციური სიმართლით. მან დაგვანახა, რომ ამას იქით დიადი გარდატეხა მოხდება თვით მოვლენათა განლაგებაში: ლეგენდის, მითის, მონაგონის, ფანტასმაგორიის ნაცვლად მოვა მასების რეალური, ჭეშმარიტად ძალუმი სიცოცხლე, და თუ ეს კონცეფცია, ჭეშმარიტად ახალი და ყოვლისშემძლე, დღეს ხორცს ისხამს, იქცევა რეალურ ძალად, რაც ისევე უძლეველია, რამდენადაც უცოდველი, ეს იმიტომ, რომ ისტორიაში მოვიდა ის ადამიანი. განა შეიძლება სიტყვებით ან დიდებით მიუზღო საკადრისი იმას, ვინც ამრიგად შეძლო მასების ენერგიის წარმართვა მომავლისაკენ“. — წერდა 1924 წლის 7 თებერვალს ანრი ბარბიუსი (საფრანგეთი).

ლენინის სიდიადეს, სწორუპოვრობასა და გენიას აღიარებს, პატივსა სცემს მსოფლიოს ყველა მოაზროვნე ადამიანი, ისეთებიც კი, ვინც არ იზიარებენ მის იდეებს, შორს დგანან კომუნისტური მსოფლმხედველობისაგან, ან სულაც ეწინააღმდეგებიან მას. ამაშია ლენინის შეუდარებელი, ისტორიაში აქამდე არნახული საკაცობრიო ავტორიტეტი... „მე არ ვიზიარებდი ლენინისა და რუსული ბოლშევიზმის იდეებს. მაგრამ სწორედ იმიტომაც, რომ მეტისმეტად ინდივიდუალისტი ვარ და მეტისმეტად იდეალისტი, რათა შეუერთდე მარქსისტულ კრედოს და მის მატერიალისტურ ფატალიზმს, მე ვეებერთელა მნიშვნელობას ვანიჭებ დიად პიროვნებებს და უსაზღვროდ აღფრთოვანებული ვარ ლენინის პიროვნებით. მე არ ვიცი უფრო ძლიერი პიროვნება თანამედროვე ევროპაში. მისმა ნებისყოფამ ისე ღრმად ამოაბრუნა მოდუნებული კაცობრიობის ქაოტური ოკეანე, რომ ტალღებში კიდევ დიდხანს არ გაქრება მისი კვალი, და ამის შემდეგ ხომალდი, მიუხედავად ქარიშხლებისა, შეუოკებლად იქროლებს წინ ახალი სამყაროსაკენ“. — წერდა 1924 წლის 1 თებერვალს რომენ როლანი (საფრანგეთი).

ლენინი არ მომკვდარა, არც მოკვდება არასდროს, იგი ცოცხალია და მარად იცოცხლებს კაცობრიობის სიცოცხლესთან ერთად, იცოცხლებს მარადჟამ, როგორც ქვეყნიერება და მისი იდეები. ამაშია ძალა ლენინისა და ლენინიზმისა, ამაშია კაცობრიობის ნათელი მომავალი. „ვინ თქვა, რომ ლენინი მოკვდა? იგი დღესაც ცოცხალია სრულსა და უძლეველ განვითარებაში ხალხებისა, რომლებიც შეუნელებლივ ატარებენ მის იდეებს ცხოვრებაში“. — ტუდორ არგეზი (რუმინეთი).

დიდება ლენინს — ჩვენი პლანეტის ყველა დროისა და ჟამის უდიდეს ადამიანს! დიდება ლენინიზმს — კაცობრიობის ნათელ მომავალს!

ლენინი და საქართველო

(დასასრული).

ტყეები, კერძოდ — დიდი ბეგუთის, გომისა და საერთოდ ოზურგეთის მაზრის ტყეები, შეადგინოს აქტები ამ ტყეების მდგომარეობის შესახებ მათ მესაკუთრეთა ხელმოწერით. ხერხს გაუჭრია და ნუველს დიდი პატივისცემით შეხვედრიან ქართველი ბოლშევიკები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან კავშირი.

ლენინმა პირველმა დასახა საქართველოში ახლად შექმნილი საბჭოთა ხელისუფლების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანები.

განსაკუთრებით დიდი დამრაზმავი და მაორგანიზებელი ძალა ჰქონდა ლენინის მიერ საქართველოს კომუნისტებისათვის გამოგზავნილ პირად წერილებს. მამა ორახელაშვილი აღნიშნავდა: „ეს წერილები ჩვეულებრივ არ არის გრძელი, მაგრამ ისინი ისეა დაწერილი, რომ მათი წაკითხვის შემდეგ ვერ დაწყნარდები იმ დრომდე, სანამ არ შეასრულებ წერილის ავტორის მიერ მოცემულ რჩევა-დარიგებებს!“.

ლენინმა პირველმა განსაზღვრა ქართველი კომუნისტების ტაქტიკის თავისებურებანი. იგი აფრთხილებდა ქართველ კომუნისტებს: „გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ... თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას“.

ლენინი მოითხოვდა, რომ იმ პერიოდში საქართველოს კომუნისტებს გამოეჩინათ მეტი დათმობა წვრილი ბურჟუაზიის, გლეხობისა და ქართველი ინტელიგენციის მიმართ.

ლენინმა დიდი ყურადღება მიაქცია საქართველოს ენერგეტიკული რესურსების გამოყენებას. როცა 1922 წელს საფუძველი ჩაეყარა ზაჰესის მშენებლობას, ლენინის ინიციატივით რსფსრ მთავრობამ საქართველოს ელექტრიფიკაციის საქმისათვის სესხად მისცა ჯერ 750 ათასი მანეთი, ხოლო შემდეგ დამატებით 1 მილიონი მანეთი ოქროთი.

ლენინმა დასახა საქართველოში მორწყვის საქმის განვითარების ამოცანები. ლენინი კავკასიელ კომუნისტებს სწერდა: „მორწყვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა ავამაღლოთ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რადაც უნდა დაჯდეს“.

ლენინი მამობრივ მზრუნველობას იჩენდა საქართველოს მშრომელებისადმი, ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ გაეადვილებინა მათთვის დიდ სამეურნეო სიძნელეთა გადალახვა, განსაკუთრებით კი სურსათის ნაკლებობით გამოწვეული მძიმე მდგომარეობა.

1921 წლის 15 აპრილს ლენინი დეპეშას უგზავნის სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულს როსტოვში და აცნობებს, რომ თბილისიდან და ბაქოდან მოსული ცნობებით არ არის მიღებული საჭირო ზომები სურსათით უზრუნველსაყოფად. ლენინი ავალებდა მას: „მიიღეთ გადამჭრელი ზომები ბაქოსა და ამავე დროს საქართველოსა და სომხეთის მომარაგებისათვის და თანახმად № 293 დეპეშისა რეგულარულად აცნობეთ ცენტრს ფაქტიური მომარაგების ღონისძიებათა შესახებ“.

იმავე წლის 7 ივლისს ლენინმა დეპეშა გაუგზავნა სასურსათო კომისარიატის რწმუნებულს როსტოვში: „ვითვალისწინებ რა საქართველოს მძიმე სასურსათო მდგომარეობას, წინადადება გეძლევათ ივლისის განმავლობაში გაგზავნოთ თბილისში, საქართველოს სასურსათო კომისარიატის მისამართით, 100 ათასი ფუთი პური. დეპეშის მიღება და შესრულება დამიდასტურეთ“. რუსეთიდან საქართველოში განუწყვეტლივ მოდიოდა არა მარტო სურსათი, არამედ სამრეწველო საქონელიც. ქართველი ხალხი თვალნათლივ ხედავდა როგორ ეხმარებოდა მათ რუსეთის მთავრობა, პირადად ლენინი.

1921 წლის 25 მაისს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ ლენინის თავმჯდომარეობით განიხილა საქართველოს ახლად შექმნილი საბჭოთა მთავრობისათვის კრედიტის გახსნის საკითხი და ავანსად მისცა ხუთი მილიონი მანეთი. დადგენილებაში ნათქვამია: „გაცემულ იქნას ავანსად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისათვის კრედიტის გახსნელად ხუთი მილიონი (5.000.000) ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1921 წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშიდან“.

ლენინს ძალიან მოსწონდა და უყვარდა საქართველო. მას არაერთხელ უფიქრია საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ პირადი ცხოვრება და საქმიანობა ისე ვითარდებოდა, რომ ვერ შეძლო განეხორციელებინა თავისი გულისწადილი.

1921 წლის 23 მარტს ფილიპე მახარაძემ ვრცელი წერილი გაუგზავნა ლენინს, რომლის დასასრულს წერდა: „ვიმედოვნებთ, რომ ზაფხულში გნახავთ თქვენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან ერთად ჩვენთან, თბილისში და ჩვენ გიჩვენებთ განსაცვიფრებელ ადგილებს“.

1922 წლის გაზაფხულზე, როცა ლენინის ჯანმრთელობა გაუარესდა, ექიმებმა ურჩიეს მას სამკურნალოდ წამოსულიყო საქართველოში. ამასთან დაკავშირებით ლენინს ჰქონდა მიმოწერა სერგო ორჯონიკიძესთან, სთხოვა შეერჩია დასვენებისათვის შესაფერისი ადგილი. მართლაც, სერგო ორჯონიკიძემ შეარჩია ორი ადგილი: აბასთუმანი და ბორჯომი, თან ორივე მათგანის აღწერილობა გაუგზავნა ლენინს, რის პასუხადაც მიიღო: „ამხანაგო სერგო! გიგზავნით კიდევ რამდენსამე პატარა ცნობას. ეს ცნობები მომაწოდა ექიმმა, რომელიც თვითონ იყო ადგილზე და სრული ნდობის ღირსია. აბასთუმანი სრულიად შეუფერებელია... ბორჯომი ფრიად გამოსადეგია, რადგან იქ არის ვაკე ადგილი სასეირნო. ეს კი აუცილებელია... ამის გარდა, სიმაღლის მხრივ შესაფერისია, ხოლო აბასთუმანი ძალიან მაღალია, 1000 მეტრზე მეტი. არ შეიძლება. ჩვენი ექიმი განსაკუთრებით გვაფრთხილებს ადრეული გამგზავრების წინააღმდეგ — დიდი სიცივე და წვიმები იქნება შუა ივნისამდეო. ეს გარემოება არც ისე მაშინებს, თუ სახლში წვიმა არ ჩამოდის და თბება“.

მაგრამ ლენინის ჯანმრთელობა უეცრად გაუარესდა. მან ვერ შესძლო საქართველოში ჩამოსვლა, ვერ ნახა ჭვეყანა და იმ ჭვეყნის ხალხი, რომელთა მიმართაც ყოველთვის იჩენდა დიდ მზრუნველობას და სიყვარულს.

ვარლამ ესაიაშვილი,
პროფესორი.

ოთხი კითხვა საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს რაფიელ ელიგულაშვილს





● ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის საინტერესო იქნება მოგვითხროთ კაიროს 1972 წლის საერთაშორისო ბაზრობაზე.

— კაიროს საერთაშორისო ბაზრობაში, რომელიც 2-დან 23 მარტამდე გაიმართა, 34 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოს რესპუბლიკას ჰქონდა ცალკე პავილიონი, რომლის შაგალითით ნაჩვენები იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში მოპოვებული დიდი წარმატებანი. ექსპოზიციამ დამთვალიერებლებს გააცნო რესპუბლიკის საექსპორტო შესაძლებლობანი და საგაჭრო-ეკონომიური კავშირურთიერთობა.

ექსპონატების მომზადებაში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის ასზე მეტი საწარმო. გამოფენა ორიათასზე მეტი ნაკეთობა, მასალები საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან. ექსპოზიცია გააფორმა მხატვართა და არქიტექტორთა ჯგუფმა შოთა ყავლაშვილის ხელმძღვანელობით. მუშაობის დღეებში კონცერტებს მართავდა საესტრადო ანსამბლი „ივერია“.

ბაზრობაზე მოსულ სტუმრებს დაურიგდათ უამრავი ბუკლეტი ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, არაბულ ენებზე. დამთვალიერებლებს გადაეცათ აგრეთვე საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გივი ჯავახიშვილის მისალმება ქართულ, რუსულ და არაბულ ენებზე. იყო ბუკლეტები, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი და საბჭოთა კავშირის საიუბილეო თარიღისადმი.

● რა წარმატებას მიაღწია ჩვენმა რესპუბლიკამ ამ ბაზრობაზე?

ტრადიციული ექსპონატების გარდა, წარვადგინეთ ახალი დასახელების პროდუქციაც, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ახალი ნაშრომები, მექანიზმები. ექსპოზიციის ყველა ექსპონატი გაიყიდა, რაც ჩვენი რესპუბლიკის დიდ წარმატებებზე მეტყველებს და იმის საწინდარია, რომ მომავალში მივიღებთ შეკვეთებს ახალ დანადგარებზეც. კაიროს საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონის საქართველოს რესპუბლიკის განყოფილებას მიეკუთვნა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საერთაშორისო ბაზრობათა და გამოფენათა გენერალური ორგანიზაციის დიდი ოქროს მედალი და საპატიო სიგელი. საქართველოს განყოფილება დაჯილდოვდა აგრეთვე კაიროს გუბერნატორის სამახსოვრო მედლით. ჩვენი ექსპოზიციის დამთვალიერებელთა სარეკორდო რიცხვიც — 700.000 კაცი — ჩვენი წინსვლისა და წარმატებების გამარჯვებაზე მიუთითებს.

● როგორც ჩვენს პრესაში დაიწერა, ბაზრობაზე გაიმართა „საქართველოს დღე“. გვიამბეთ ამის შესახებ.

— 14 მარტს ბაზრობაზე „საბჭოთა კავშირის ეროვნული დღის“ დღესასწაული მოეწყო, 15 მარტს კი „საქართველოს დღე“ აღვნიშნეთ. მოვიწვიეთ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები, ბაზრობაში მონაწილე დიდი ფირმების ხელმძღვანელები, ეგვიპტეში აკრედიტებული ელჩები. ჩვენი მთავრობის დელეგაციამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვალერიან ვადაბჭორიას მეთაურობით დარბაზობა გამართა 300 კაცისათვის. დარბაზობას ესწრებოდა ეგვიპტეში მომუშავე ქართველ სპეციალისტთა ჯგუფი და, რასაკვირველია, ანსამბლი „ივერია“, რომელიც მთელი საღამოს სული და გული იყო. ამ ანსამბლმა ისეთი დიდი აღიარება და პოპულარობა მოიპოვა, რომ მასპინძელთა დაჟინებული თხოვნით გასტროლები გაგრძელა და ამჟამადაც ეგვიპტეში იმყოფება.

● პრესა თუ ეხმაურებოდა ბაზრობაში ჩვენი რესპუბლიკის მონაწილეობას?

ეგვიპტის პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ დიდი ადგილი დაუთმეს საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონისა და საქართველოს რესპუბლიკის ცალკე განყოფილების გაშუქებას.

გაზეთმა „ალ გუმპურიამ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ვასილ მჟავანაძესთან. ჩვენი რესპუბლიკის მეთაურმა გაზეთის მკითხველებს უამბო, როგორ მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა შესანიშნავი გამარჯვებანი ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაში საბჭოთა ხალხების ურთიერთდახმარებითა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საინტერესოა ბაზრობის სტუმართა აზრი ჩვენი რესპუბლიკის განყოფილების შესახებ. აი ზოგიერთი მათგანი:

„ვამფენის საბჭოთა პავილიონი სიამაყის, პატივისცემისა და უაღრესად მაღალი შეფასების გრძნობას გვგვრის“ — ეგვიპტის სახალხო ბანკის თავმჯდომარე მუსტაფა რიფაი.

„საქართველოს ბრწყინვალე პროგრესს რომ ვხედავთ, ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში იმასვე მივაღწიოთ, რასაც თქვენ მიაღწიეთ. გიხდით აგრეთვე მადლობას გულწრფელი მასპინძლობისათვის, რომელიც თავის დროზე გაუწიეთ განსვენებულ გამალ აბდელ ნასერს. გმადლობთ“. — აინ შამსის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ისხაკ ჭემალ მუსტაფა.



სურათებზე: ზემოთ — დიდი ოქროს მედალი; კაიროს გუბერნატორის სამახსოვრო მედალი; საპატიო სიგელი.

„ურიელ აკოსტას“ ახალი სიცოცხლე

ქუთაისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, რომელიც დიდი რეჟისორის ხსოვნას, მისი დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

პიესა, რომელიც ოთხ ათეულ წელიწადზე მეტი ხნის წინათ დადგა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა, ალადგინა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვერიკო ანჯაფარიძემ. აღდგა პეტრე ოცხელის მხატვრობაც, უცვლელი დარჩა კომპოზიტორ თამარ ვახვახიშვილის მუსიკაც და ქორეოგრაფ დავით მაჭავარიანის დადგმული ცეკვებიც.

საინტერესოა, რომ ერთ-ერთი მთავარი როლი — ივდითი შეასრულა ამ როლის პირველი შემსრულებლის — ვერიკო ანჯაფარიძის ქალიშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა სოფიკო ჭიაურელმა. ურიელი განასახიერა საქართველოს სახალხო არტისტმა კოტე მახარაძემ.

სხვა როლებში ვიხილეთ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ტარიელ საყვარელიძე, დამსახურებული არტისტები ზურაბ ლაფერაძე, გიორგი ტატიშვილი, მზია მახვილაძე, მსახიობები მარლენ ეგუტია, ნანი ჩიქვინიძე და სხვები.

სპექტაკლს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ ვასილ მჟავანაძე, გივი ჯავახიშვილი, გიორგი ძოწენიძე.

ჩვენი სოფლის ამაგდარი

24 აპრილს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მიხეილ გოგიჩაიშვილმა.**

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **შოთა ჭანუყვაძე,** რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გულთბილად მიესალმა და მიულოცა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის მუშაკებს ნახევარი საუკუნის იუბილე. მანვე წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ და შეკრებილთა ტაშის გრიალში ორდენი მიაბნია დროშას.

მოხსენება „გაზეთ სოფლის ცხოვრების“ 50 წელი“ გააკეთა გაზეთის რედაქტორმა **მიხეილ დავითაშვილმა.**

რედაქციის კოლექტივს მიულოცეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა **დავით მჭედლიშვილმა,** გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა **ნიკოლოზ კონაპეოვმა,** გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა **დიმიტრი მამისაშვილმა,** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ოსტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა **არჩილ ძამაშვილმა,** ლენინური პრემიის ლაურეატმა, კონსტრუქტორმა **გიორგი ოგანეზოვმა,** რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა, მწერალმა **კონსტანტინე ლორთქიფანიძემ,** უკრაინის რესპუბლიკური სასოფლო გაზეთის „სილსკოე ვისტის“ რედაქტორმა **ნიკოლა იშჩენკომ,** აზერბაიჯანის სასოფლო გაზეთის „სოვეტ კენდის“ რედაქტორმა **ფაზილ სადიხოვმა,** რესპუბლიკის ახალგაზრდობის სახელით — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნუგზარ ფოფხაძემ.**

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ილია კავკაზაკი

საქართველოს საგალობელი

ვდგევარ მწვერვალზე... ზეცის თაღები
ჩემს ჩანგს დაჰყურებს სულგანაბული...
ეჰე, ვინაა ხმის ამომღები,
ბედნიერებით მელევა გული!
საქართველოა თვითონ სიმღერა
და ჩანგი მისი ცამდე ასული,
ნატვრის თვალი და ავლა-დიდება,
შოთას გული და თამარის სული.
ბევრია კუთხე სახელგანთქმული,
მაგრამ ეს მხარე ყველას უქია.
საქართველო ხომ მზის ქვეყანაა,
საქართველო ხომ მზეჭაბუკია!
საქართველოს ცას სულ რომ ანათებს —
შუქია მზის და შუქია მთვარის,
მის აურაცხელ ავლა-დიდებას
ადამიანის ვერ სწვდება თვალი.
სამოთხე არის მამული ჩემი,
ქართველთა ხელში რომ მარგალიტობს
და ხალხი თავის ადათ-წესებით
დედამიწაზე სამაგალითო.
ბევრია კუთხე სახელგანთქმული,
მაგრამ ეს მხარე ვის არ უქია!:
საქართველო ხომ მზის სამეფოა,
საქართველო ხომ მზეჭაბუკია!
ყველა ქართველი ამირანია,
ერთურთს ჭირსა და ლხინში შველიან,
ყველა ქართველი არის მინდია,
ყველა ქართველი ტარიელია.
ჩემი გულია მამული ჩემი,
მისი ლურჯი ცა და მწვანე მდელო,
უსაქართველოდ მე მზე არ მათბობს,
როგორ ვიმღერო უსაქართველოდ?
დიდი მადლობა, გამჩენო ჩემო,
ჩვენი დიდება ვის არ უქია:
საქართველო ხომ მზის სავანეა,
საქართველო ხომ მზეჭაბუკია!

ოსურიდან თარგმნა ამოანდილ გურგენიძემ

ზეიმი სამხრეთ ოსეთში

20 აპრილს სამხრეთ ოსეთის მიწაწყალზე დიდი ზეიმისა და სიხარულის დღე იყო. შესრულდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 50 წლისთავი.

საიუბილეო დღეებში საზეიმოდ მოირთო სამხრეთ ოსეთი. ცხინვალის ქუჩები და მოედნები გაზაფხულის ზურმუხტოვან ფონზე განსაკუთრებით ლამაზად მოჩანდა.

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ვასილ მჟავანაძეს**, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს **ოთარ ლოლაშვილს**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს **ალექსი ინაურს**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს **გიორგი ჯუსოევს**, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს **კოსტა ჯიოევს**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობის მოწინავეებსა და ვეტერანებს, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა წევრებს.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა გიორგი ჯუსოევმა. სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ვასილ მჟავანაძეს.**

ვასილ მჟავანაძემ წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომისადმი.

შემდეგ ვასილ მჟავანაძემ ილაპარაკა, იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა გასაბჭოებამდე სამხრეთ ოსეთი, როგორ შეიცვალა იგი დღეს. გაიხსენა ცნობილი ლენინველები ზნაურ აიდაროვი, ალექსანდრე ჯატიევი, ისააკ ხარებოვი, სერგო გაგლოევი, ალექსანდრე აბაევი, რაჟდენ კოზაევი, ვლადიმერ სანაკოევი, არონ პლიევი და სხვები.


სიტყვის დასასრულ ვასილ მჟავანაძემ საზეიმო სხდომის მონაწილეებს და მათი სახით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ყველა მშრომელს მიულოცა მომავალი პირველი მაისი — იმპერიალიზმის წინააღმდეგ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, უსურვა ყოველივე საუკეთესო, ჯანმრთელობა, ახალი სახელოვანი წარმატებანი მუშაობაში და დიდი ბედნიერება.

მოხსენება — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 50 წელი“ გააკეთა **გიორგი ჯუსოევმა.**

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელებმა: ჩრდილო ოსეთიდან და დაღესტნიდან, მთიანი ყარაბახიდან და აფხაზეთიდან, აჭარიდან და ჭუთაისიდან, გორიდან და ჭარელიდან, ქასპიდან და ღუშეთიდან.

სურათზე: ზეიმი ცხინვალში. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ მჟავანაძე.**

გივი ქიშვარძის ფოტო



სახელოვანი 50 წელი

20 აპრილს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს ავტონომიური ოლქის შექმნის 50 წლისთავი. სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით სამხრეთ ოსეთმა თავისი ისტორიის მანძილზე პირველად მიიღო ეროვნული ავტონომია და ამასთან ერთად ეკონომიური და კულტურული განვითარების დიდი შესაძლებლობა.

რას წარმოადგენდა იმ დროს ოლქი? ეს იყო წარმოუდგენლად ჩამორჩენილი და გაუნათლებელი მხარე, სადაც არ იყო არც ერთი სამრეწველო ობიექტი, არ იყო სკოლები, საავადმყოფოები, კულტურის კერები, სოფლის მეურნეობა პრიმიტიულად წარმოებდა.

დღეს სამხრეთ ოსეთი წარმოუდგენლად გარდაქმნილი მხარეა. ოლქის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ იმით, რაც მათ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გააკეთეს ორმოცდაათი წლის მანძილზე. შეიქმნა და გაიზარდა მრეწველობა, რომელიც იძლევა ტყვიისა და თუთიის კონცენტრატებს, თალკს, მიკროქვაბებს, მომინანქრებულ სადენებს, ავეჯს, ტანსაცმელს, ყველსა და ზეთს, კონსერვებს, ლუდს. საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ ცნობილია ჩვენი წარმოების ვიბრაციული მანქანები. ამ ქარხნის მარკიანი პროდუქცია გაქვთ საზღვარგარეთის ოცამდე ქვეყანაში.

ოსი ხალხის სიამაყეა კვაისის თუთია-ტყვიის საწარმო, რომელიც 1949 წელს ამუშავდა, ხოლო თვით კვაისის დასახლებული პუნქტი სამიოდე წელიწადში ქალაქის ტიპის დაბად გარდაიქმნა.

ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე საოცარი ცვლილებები მოხდა სოფლად. კოლმეურნეობათა მშენებლობის პირველ წლებში ოლქში იყო სულ ორი ტრაქტორი და რამდენიმე სათესი მანქანა, დღეს კი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყანებში 400-მდე ტრაქტორი, 150 სათესი მანქანა, უამრავი კომბაინი და სხვა ტექნიკა მუშაობს.

დიდი წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც. წლითიწლობით უმჯობესდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. შენდება ახალი სკოლები, საავადმყოფოები, საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი ნაგებობანი. თუ 1922-1940 წლებში კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯა 5,04 ათასი მანეთი, მეცხრე ხუთწლედში ეს ციფრი 80 მილიონ მანეთს მიაღწევს.

დიდი წარმატებებია მოპოვებული ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში. რევოლუციამდე ჩვენში ერთი კერძო მკურნალი იყო, დღეს კი სამედიცინო დაწესებულებათა საგულდაგულოდ შექმნილ ფართო ქსელში 800-ზე მეტი მედიკოსი მუშაობს.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მეოხებით ოსმა ხალხმა მიაღწია ეროვნული კულტურის აყვავებას. ოლქში მოქმედებს 150 ბიბლიოთეკა, 90 კლუბი და კულტურის სახლი. დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი“.

რევოლუციამდე ოლქში არ იბეჭდებოდა გაზეთები და წიგნები. დღეისათვის გამოდის ორი საოლქო და სამი რაიონული გაზეთი, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყურნალი, ჩვენი მწერლების ორგანო. გამომცემლობა „ირისტონი“ ყოველწლიურად უშვებს დიდძალ წიგნს ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავისი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრებაში. ჩვენი ოლქის 6 ათასზე მეტი კაცი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ, რომ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის 1967 წელს ჩვენი ოლქი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა 50 წლის მანძილზე შესანიშნავი წარმატება მოიპოვა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგად. ეს წარმატებები ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი მზრუნველობის შედეგია.

დიდი მუშაობა იქნება გაწეული ახალ ხუთწლედში, რომელიც წარმატებებით დაიწყეს ოლქის მშრომელებმა. გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ამ შეჯიბრებაში აქტიურად მონაწილეობენ სამრეწველო საწარმოების მშენებლობათა მუშები სოფლის მეურნეობის მშრომელები. ეჭვი არ არის, რომ ისინი დიდ წარმატებებს მიაღწევენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

გიორგი ჯუსოევი
საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

მიწის სასიცოცხლო არტერია

სამხრეთ ოსეთის მთისწინა ზონაში, რაც ქართლის დაბლობის უშუალო გაგრძელებაა, განვითარებულია მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. ეს ადგილები ხასიათდება თავისებური მშრალი კლიმატური პირობებით, ზაფხულობით შედარებით ცხელი ჰავით, ხშირი გვალვითა და მცენარის ვეგეტაციის პერიოდში მცირე ატმოსფერული ნალექებით.

1921 წლამდე სამხრეთ ოსეთის სახნავ-სათესი მიწების მცირე ნაწილი ირწყვებოდა, სარწყავი მიწების მფლობელნი კი ბობოლები, მებატონეები და ვაჭრები იყვნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ლენინის მითითებით დასაბამი მიეცა საირიგაციო მშენებლობის განვითარებას.

დაიწყო ქართლის ველის უდიდესი არტერიის — ტირიფონის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც 1926 წელს დამთავრდა. მაშინ საბჭოთა სახელმწიფო არსებობის სულ რამდენსამე წელიწადს ითვლიდა, განიცდიდა დიდ ეკონომიურ სიძნელეებს, მაგრამ ამ მშენებლობისათვის გამოყოფილი იყო 6 მილიონი მანეთი ოქროთი. ტირიფონის არხმა მაცოცხლებელი წყალი მიაწოდა ცხინვალისა და ლენინგორის რაიონების სოფლებს. სოფლის მეურნეობაში დაინერგა მაღალმოსავლიანი დარგები — მებაღეობა და მევენახეობა.

1932 წელს სოფელ დისევის მკვიდრის გიორგი ოქროპირიძის ინიციატივით დაიწყო და სახელმწიფოს დაუხმარებლად — სოფლების დმენისის, დისევის, კულბითის, ჭსუისის მშრომელთა ძალებით, — აშენდა 7 კილომეტრი სიგრძის დისევის არხი, რომელმაც გაასარწყავა 450 ჰექტარამდე მაღალნაყოფიერი მიწები.

1936 წელს დამუშავდა კეხვისა და ვანათის სარწყავი სისტემების ტექნიკური პროექტები.

1940 წლის ზაფხულში დაიწყო კეხვის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც ომის მძიმე წლებშიც არ შეწყვეტილა და დამთავრდა 1946 წელს.

1944 წელს დაიწყო ვანათის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც საექსპლუატაციოდ გადაიცა 1952 წელს და სამხრეთ ოსეთის სარწყავ ფართობს ასობით ჰექტარი შეემატა.

1960 წელს დაიწყო და ორ წელიწადში დამთავრდა ძარწვმის მექანიკური სარწყავი სისტემის მშენებლობა. ამ სისტემამ გაასარწყავა 500 ჰექტარი ფართობი, რომლის დიდი ნაწილი ამჟამად ბაღებსა და ვენახებს უჭირავს.

1964 წელს დამთავრდა ბალთა-ჭალეთის ხარწყავი სისტემის მშენებლობა მდინარე დასავლეთ ფრონეზე, რომლის საშუალებით ირწყვება სოფლების ბალთისა და ჭალეთის სახნავ-სათესი მიწები.

1966 წელს დამთავრდა არცევის მექანიკური სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელმაც გაასარწყავა არცევის საბჭოთა მეურნეობის ტირიფონის არხის მარცხნივ მდებარე 247 ჰექტარი ფართობი.

ნადარბაზევის წყალსაცავის აგებასთან დაკავშირებით გადაიჭრა ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის, ორჭოსნისა და აბრევის აქამდე ურწყავი ფართობების გასარწყავების პრობლემა. 1968-1969 წლებში მწყობრში ჩადგა ორჭოსნის მექანიკური სარწყავი სისტემა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სარწყავი ფართობი 900 ჰექტარიდან გაიზარდა 9.900 ჰექტარამდე, ესე იგი 11-ჯერ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ახალ ხუთწლედში გათვალისწინებული აქვს დიდი წყალსამეურნეო სამუშაოები სამხრეთ ოსეთში. გასარწყავდება ზნაურის რაიონის ავნევისა და ძვილეთის სასოფლო საბჭოების მინდვრები. ამისათვის უკვე დაწყებულია წყალსაცავის მშენებლობა მდინარე პატარა ლიახვზე, სოფელ ზონკართან.

ამჟამად მდინარე დიდი ლიახვიდან წყალს იღებენ ტირიფონის, სალთვისისა და კეხვის სარწყავი სისტემები. ივლისსა და აგვისტოში მდინარეში წყლის მარაგი იმდენად მცირდება, რომ არსებულ არხებსაც ძლივს აკმაყოფილებს. ამ პერიოდში დიდი ლიახვი ზნაურს წყალს ვერ მიაწვდის.

დამპროექტებლებმა ეს საკითხი შემდეგნაირად გადაწყვიტეს:


მდინარე დიდ ლიახვში წყლის შემცირების პერიოდში ტირიფონის არხი სრულიად გამოირთვება, სამაგიეროდ ტირიფონის არხს წყალი მიეცემა ზონკარის წყალსაცავიდან. ის წყალი კი, რომელიც ტირიფონის არხს დიდი ლიახვიდან უნდა მიეღო, წავა კეხვის რეკონსტრუირებულ არხში ცხინვალისა და ზნაურის რაიონების 4.000 ჰექტარის მოსარწყავად. ეს კომპლექსური ნაგებობა სახელმწიფოს 40 მილიონამდე მანეთი დაუჯდება.

მეცხრე ხუთწლედში აიგება აგრეთვე ორჭოსნის მესამე რიგის მექანიკური სარწყავი სისტემა, არცევის მეორე რიგის სარწყავი სისტემა. ყველა ამ ღონისძიების განხორციელებით სამხრეთ ოსეთის სარწყავი ფართობი 14 ათას ჰექტარამდე გაიზრდება, რაც კიდევ უფრო განავითარებს სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას, განამტკიცებს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობის ეკონომიკას.

ზაურ გაბარაევი







სურათებზე: მსახიობი ჯემალ გოჩაშვილი ფიროსმანის როლში; სცენა სპექტაკლიდან „თქმულება დედაზე“, დედა (შუაში) მსახიობი ევგენინა გუკაევა; ალექსანდრე ცაგარელის „ხანუმას“ რეპეტიციაზე.

რამინ კაჭარავას ფოტო

ოსური კულტურის მოამაგე

1931 წელს ჯერ ისევ თბილისში ვცხოვრობდი, მაშინ სამხრეთ ოსეთში პროფესიული თეატრი არ არსებობდა, მაგრამ საფუძველი უკვე ეყრებოდა, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული კადრები თითქმის არ იყო.

იმ ხანებში თბილისის ზუბალაშვილის სახელობის თეატრის ოსურ დრამწრეში ვმონაწილეობდი (ამჟამად ეს თეატრი კოტე მარჯანიშვილის სახელს ატარებს). როცა გავიგე, რომ ცხინვალში პროფესიული თეატრი ყალიბდებოდა, გულით გავიხარე. მალე განათლების საოლქო განყოფილებიდან წერილი მივიღე, მთხოვდნენ, გადავსულიყავი ცხინვალში, ახლად ფეხადგმულ თეატრში სამუშაოდ. წინადადება დაუყოვნებლივ მივიღე.

თეატრის შექმნა მაშინ იოლი როდი იყო — არ გვქონდა კოსტიუმები, რეკვიზიტი, ელექტრომოწყობილობა. გადავწყვიტე თბილისის თეატრებისათვის მეთხოვა დახმარება.

მშობლიურ თეატრს მივაშურე. კოტე მარჯანიშვილი ვიკითხე. სარეპეტიციო დარბაზში უცხო პირთათვის შესვლა აკრძალული იყო, მაგრამ მე მაინც მოვახერხე. შორიდან შემამჩნია დიდმა რეჟისორმა. მორიდებით შესულს თვითონ მომიახლოვდა, მომესალმა.

— რაზე გარჯილხარ?

ცნა დამება.

— სამხრეთ ოსეთიდან ჩამოვედი... საქმეზე ვარ...

მიხვდა, ლაპარაკი მიჭირდა. ხმაში სითბო ჩაიღვარა და სახეზე ღიმილი გადაიფინა.

— აბა, წამოდი, კაბინეტში მოვილაპარაკოთ...

...მოვახერხე, ვამცნე ვიზიტის მიზეზი. ვთხოვე დავგხმარებოდნენ კოსტიუმებით, რეკვიზიტით... ნათელ თვალებში სიხარულმა იელვა.

— ოსეთში თეატრის დაარსება დიდი ამბავია და, არ დაგიმალავ, ძალზე მიხარია. დაგეხმარებით. თქვენ ოღონდ მოიხდომეთ... ყველაფერით ხელს შეგიწყობთ.

იქვე გამოიძახა გარდერობისა და სარეკვიზიციო საამქროს უფროსი და უთხრა:

— ეს ახალგაზრდა წაიყვანე საამქროში და რაც კი შესაძლებლობა გაქვს, დაუკმაყოფილე... არის იქ ნივთები, რომლებსაც ჩვენ შეველევით, ამათ კი დიდად გამოადგებათ.

აღარ მახსოვს საამქროს უფროსის გვარი. ისე კი ძალზე კეთილი ადამიანი გამოდგა. საკუთარი ხელით გადამირჩია კოსტიუმები, რეკვიზიტი...

ჩემი თაობის მსახიობები დამემოწმებიან, რა დიდი დახმარება იყო ეს ჩვენთვის. კოსტა ხეთაგუროვის სახელობის თეატრმა იმ ნივთებით კარგა ხანს ისარგებლა.

კოტე მარჯანიშვილს ჩვენზე ზრუნვა არც მერე შეუწყვეტია. ყოველთვის კითხულობდა ჩვენს ამბავს. აინტერესებდა, რა გვიჭირდა, რა გვილხინდა, რეპერტუარში რა გვქონდა.

როცა ჩვენი თეატრის კოლექტივმა ჩემი შემოქმედებითი მუშაობის 10 წლის იუბილე, გადამისადა კოტე მარჯანიშვილმა მოსალოცი დეპეშა გამომიგზავნა. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ სასიქადულო მამულიშვილი და უაღრესად დიდი რეჟისორი ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარების საქმეს ზრუნვას არ აკლებდა.

ვლადიმერ ხეთაგუროვი,

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის პირველი დირექტორი და რეჟისორი.

მესამედ დედაქალაქში

თბილისში გასტროლები გამართა ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, რომელიც არსებობის მეოთხე ათეული წელიწადს ითვლის; თუმცა ცხინვალის თეატრალურ ტრადიციებს გაცილებით ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ჯერ კიდევ 1875 წელს ცხინვალის სცენისმოყვარეებს დაუდგამთ გიორგი ერისთავის „გაყრა“. მასში მონაწილეობდნენ ადგილობრივი მკვიდრნი ზაალ მაჩაბელი, დავით ფავლენიშვილი, ეფემია მაჩაბელი, კარლო კობალაძე, ვასილ ტერ-აბრამიანცი (ეს უკანასკნელი ადგილობრივი ინტელიგენტი, ინჟინერი იყო, ხშირად მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, მისივე პროექტით აუგიათ კლუბი ლიახვის პირას, რომელიც 1933 წლამდე არსებობდა). ამ წარმოდგენაში, რომელიც 13 სექტემბერს (ძველი სტილით 31 აგვისტოს) საზეიმოდ უჩვენეს მაყურებელს, ივანე მაჩაბელსა და ნატო გაბუნიასაც მიუღიათ მონაწილეობა. დადგმას დიდძალი ხალხი დასწრებია.

ესოდენ ღირსეული თეატრალური მოვლენით აღნიშნულა ცხინვალში პირველი თეატრალური დადგმა. შემდეგ პერიოდულად იმართებოდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა მუდმივი თეატრი.

ცხინვალის თეატრი დედაქალაქის თეატრალური ხელოვნების მოყვარულებმა პირველად 1940 წელს გაიცნეს, თბილისში გამართული ოსური ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველი დეკადის დროს. მეორედ სტუმარ-მასპინძელთა შეხვედრა 1957 წელს მოხდა, მეორე დეკადისას. ორსავე გასტროლებზე თეატრის შემოქმედებამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

წლეულს ცხინვალელებს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მასპინძლობდა. დედაქალაქის მაყურებლის წინაშე გამოსვლა ყოველი შემოქმედებითი კოლექტივის გამოცდაა. ამიტომაც ბუნებრივი იყო შემოქმედებითი პასუხისმგებლობით გამოწვეული მღელვარება.

საგასტროლო აფიაში 8 სპექტაკლს მოიცავდა. აქედან ხუთი ოსურმა დასმა წარმოადგინა, სამი — ქართულმა. ყურადღება ძირითადად ეროვნულ რეპერტუარზე გამახვილდა.

გასტროლები დაიწყო ოსურმა დასმა ნიკოლოზ სალამოვის ჰეროიკული დრამით „სარმათი და მისი შვილები“. პიესაში ასახულია თავდადებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, ხალხთა ნათელი მეგობრობა. რევოლუციის წინა პერიოდზე მოგვითხრობენ მიხეილ მრევლიშვილის პიესა „ბერმუხის ჩრდილში“ და ეზეთხან ურუიმაგოვას „სანიათი“. თანამედროვე ცხოვრებას ასახავენ ალექსანდრე ჩხაიძის „ხიდი“, გიორგი ხუგაევის „ბედნიერებავ, სადა ხარ“ და ვლადიმერ გაგლოევის „თქმულება დედაზე“. ვნახეთ აგრეთვე გიორგი ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ბოლო გასტროლების შემდეგ თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი საგრძნობლად გაზრდილა, ბევრი რამ შეცვლილა თეატრის ცხოვრებაში. თეატრი ფეხდაფეხ მიჰყვება დროის სვლას, ცხოვრების ფერისცვალებას.

და მაინც, დადგმებიდან გვინდა გამოვყოთ ერთი სპექტაკლი — გიორგი ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“, ამბავი გენიალური ნიკო ფიროსმანაშვილის ტრაგიკულ ცხოვრებაზე.

კონფლიქტი საზოგადოებასა და მხატვარს შორის, რომელიც სიცოცხლეში ვერ გაიგეს და ვერ შეაფასეს თანამედროვეებმა, ფიროსმანის არაჩვეულებრივად მგრძნობიარე, ღრმა შინაგანი სულიერი სამყარო, სავსე დიდი ტკივილებითა და იმედებით, სიყვარულითა და სევდით, წინა პლანზე წამოსწია პიესის დამდგმელმა და თეატრის მთავარმა რეჟისორმა ვლადიმერ მოდებაძემ. სპექტაკლის ყველა პერსონაჟი, მიზანსცენა თუ დეკორაცია ამ მიზნის გადაწყვეტას ემსახურება.

მსახიობთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ფიროსმანის როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობი ჯემალ გოჩაშვილი. მის წინაშე დიდი სიძნელეები იდგა — თბილისელ მაყურებელს ხომ თვით სერგო ზაქარიაძე უნახავს ფიროსმანის როლში. და რა სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ახალბედა მსახიობის ეს როლი მისი უდავო წარმატების საწინდარია.

მარგარიტას როლში ცნობილი ქართველი მომღერლის — ბათუ კრავეიშვილის ქალიშვილი თამარი ვიხილეთ. მან კარგად აუღო ალღო მარგარიტას სასიათს, მაყურებლის ყურადღება მიიქცია თავისი პლასტიკურობით, მომხიბლავი სცენური სახითა და მეტყველების კულტურით.

საინტერესო სახეები შექმნეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა — ირაკლი შერაზადიშვილმა (დიმიტრი), დამსახურებულმა არტისტმა — ივანე დარბუაშვილმა (ალექსი), მსახიობმა — მედეა წიკლაურმა (ვარინკა) და სხვებმა.

გასტროლები თბილისში ცხინვალელებისათვის საზეიმო დღეების — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 50 წლისთავის წინ გაიმართა. სწორედ ამ საზეიმო თარიღსა და საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნიან ცხინვალელები ადგილობრივი დრამატურგის ვასილ სანაკოევის პიესას „ბედის ვარსკვლავს“ და უკრაინელი დრამატურგის მიკიტენკოს „სოლოს ფლეიტაზე“, რომლებიც თანამედროვე და აქტუალურ თემებზეა შექმნილი. განზრახული აქვთ აგრეთვე მაყურებელს უჩვენონ ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ და სერვანტესის „ბოშა გოგონა“.

ევგენი ნიშარაძე



სურათზე: სახელოვანი ფალავანი ანდრო ცხოვრებოვი.

სოსო დავითაშვილის ფოტო

ის შრჩევნია მამშულსა...

— ანდრო, ვინ არიან შენი მეგობრები?

— შოთა ლომიძე, გურამ საღარაძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, ნოდარ ხოხაშვილი, დღეინადაგ ერთადა ვართ წვრთნის, შეჯიბრებისა თუ დასვენების დროს. მათზე უკეთეს ვაჟკაცებს ვერც ვინატრებდი მეგობრებად.

დიახ, ჩვენი ცნობილი ფალავნები ვახსენეთ. ეს შეკითხვა და ამგვარი პასუხი კი ჟურნალისტებს გასაც ცნობილმა ოსმა ფალავანმა ანდრო ცხოვრებოვმა.

ჯავის რაიონის მსხლებელი ბიჭი პატარობიდანვე ჭიდაობდა. მისი გატაცება უფროსებს მაინცა და მაინც როდი მოსწონდათ. მშობლები უჯავრდებოდნენ კიდეც, მაგრამ პატარა ანდრო თავის სიყვარულს ვერ ღალატობდა. მერე უცებ ამობრწყინდა და ფალავნებით განთქმულ ქვეყანაში, საქართველოში, რამდენჯერმე გახდა ჩემპიონი. ხოლო როცა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საკავშირო ასპარეზობაში გაიმარჯვა, გზა უფრო დიდი მასშტაბების სარბიელისაკენ გაეხსნა.

...1966 წელი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი. ასპარეზობაზე ანდრომ ჩვეული გულმოდგინებით შეუტია მეტოქეებს და ფინალამდე ვაჟკაცურად გაიკაფა გზა. იქ გადაეღობა საშუალო წონის თურქი მოჭიდავე გიუნგერი. ანდრო დამარცხდა და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. იმავე წელს ანდრო იმ ნაკრებში შეიყვანეს, რომელსაც ტოლიდოს მსოფლიო პირველობაზე უნდა მიეღო მონაწილეობა... მასთან ერთად ნაკრებში გამოდიოდნენ მსოფლიო სახელის ფალავნები გურამ საღარაძე და ტარიელ ალიბეგაშვილი, ზარიბეგ ბერიაშვილი და ალი ალიევი, ალექსანდრე მედვედი და ალექსანდრე ივანიცკი.

...ტოლიდო მარცხიანი გამოდგა ანდროსათვის. კენჭისყრამ ისეთ ფალავნებთან შეახვედრა ზედიზედ, როგორიც იყვნენ ირანელი მეხთოზადე და თურქი გიუნგერი. მართალია, ორივე შეხვედრა ფრედ დამთავრდა, მაგრამ საპრიზო ადგილისათვის ბრძოლა უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა...

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მეორე ადგილი მოიპოვა, ირანისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირებში გაიმარჯვა და, როგორც საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრების წევრი, ამხანაგური მატჩის მოსაწყობად გაემგზავრა თურქეთში.

...ანკარის 25-ათასიან სტადიონზე ნემსი არ ჩავარდებოდა — თურქეთში ხომ ჭიდაობა ისევე უყვართ, როგორც ბრაზილიაში ფეხბურთი. მსოფლიო ფალავნების ფოტოსურათები კი კინოვარსკვლავების სურათებივით არის გამოფენილი.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა. ანდროც ლამაზად, მოხდენილად ჭიდაობდა, იყო მომენტები, როცა ვეებერთელა სტადიონი ფეხზე იდგა და ამოდენა ხალხისე გატრუნული ადევნებდა თვალს ორთაბრძოლას, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. თურქთა კერპი ბაირაკი ჩვენმა ფალავანმა ძირს დასცა და ხალიჩა გამარჯვებულმა დატოვა.

მაშინდელ ერთ ამბავს იხსენებს ხოლმე ანდრო გულისტკივილით: ასპარეზობის დასასრულს ცხოვრებოვთან და მის მეგობრებთან ორი ადგილობრივი მცხოვრები მისულა და თქვენთან ოსები და ქართველები თუ არიანო, უკითხავთ. ჩვენა ვართ ოსებიო, — უპასუხიათ ცხოვრებოვსა და თედეევს. მოსულნი საქართველოდან გადახვეწილები აღმოჩენილან. კავკასიური იერი ორივეს შერჩენოდა. მე წარმომშობით ოსი ვარო, ეთქვა ეროს დამტვრეული ოსურით. დიდხანს იქნევდნენ თავს სინანულით, თავის მწარე სვე-ბედს უჩიოდნენ და საბჭოთა ადამიანების ლაღ, კეთილ, თავისუფალ ცხოვრებას შენატროდნენ...

ანდროს გამარჯვებით გახარებული გული დაუმძიმდა...

...იუგოსლავიაში 18 ქვეყნის 120 რჩეულმა ფალავანმა მოიყარა თავი.

ქალაქ სკოპლეში ტარდებოდა ევროპის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ანდროს ხომ ყოველთვის მრისხანე მეტოქეები ჰყავდა. და აქაც „გაუღიმა“ ბედმა — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებთან თუ პრიზიორებთან შეხვედრა მოუხდა. ექვსჯერ გამოვიდა ანდრო ხალიჩაზე და ხუთი შერკინება მოიგო. წმინდად დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი რუმინელი ბოლა. ბოლას ბედი უნგრელმა ხოლოშმა და ბულგარელმა გარჯიევმაც გაიზიარეს. ანდროს სანუკვარი ოცნება აუსრულდა: ევროპის ჩემპიონი გახდა სწორედ მაშინ, როცა 29 წელი შეუსრულდა — ქალაქ სკოპლეში მიულოცეს მეგობრებმა დაბადების დღე.

მერე თავის ტიტულებს კვლავ უმატებს ოქრო-ვერცხლს. 1969 წელს ირანის საერთაშორისო ტურნირში იმარჯვებს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხდება. პირველობას არავის უთმობს ქვეყნის სოფლის სპორტსმენთა ასპარეზობაზე.

ანდროს სპორტული ტიტულებია: თბილისის ოთხგზის ჩემპიონი, საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი, „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს შვიდგზის ჩემპიონი, სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებაზე ექვსგზის გამარჯვებული, საკავშირო პროფსაბჭოს სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო შეჯიბრებში ექვსგზის გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი.

განათლება: დაამთავრა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი.

დღევანდელი საქმიანობა: კარგი ოჯახის მამაა. მუშაობს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ. თვითონაც ვარჯიშობს, ახალგაზრდებსაც წვრთნის, საფალავნოდ ამზადებს ოს ჭაბუკებს.

ის ურჩევნია მამულსა...

ლაშა გარეჯელი

საბჭოთა კავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა

თბილისსა და ერევანში



სურათზე: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლილიანა მითაიშვილი.

საბჭოთა კავშირის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა გაცვლითი სპექტაკლები თბილისისა და ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრალურ კოლექტივებს შორის. ერევნის სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა ჩვენი დედაქალაქის მაყურებელს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ბალეტებში — ადანის „ჟიზელსა“ და მინკუსის „დონ-კიხოტში“, ოპერებში — დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურში“, ვერდის „ტრუბადურსა“ და „აიდაში“.

სომხეთის დედაქალაქის სცენა კი ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების დესპანებმა „დაიპყრეს“. „დონ-კიხოტში“ მთავარი პარტიები შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ლილიანა მითაიშვილმა და ბექარ მონავარდისაშვილმა. ვერდის „დონ-კარლოსში“ მსმენელებს ფილიპი გააცნო რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თენგიზ ლაფერაშვილმა, ხოლო „ტრუბადურში“ ერევნელებმა მოუსმინეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო და ფალიაშვილის პრემიების ლაურეატს ჰეტრე ამირანაშვილს, საქართველოს დამსახურებულ არტისტებს თამარ თაქთაქიშვილსა და ტატიანა მალიშევას.

შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლამ ერთხელ კიდევ ცხადყო ორი მოძმე ხალხის ტრადიციული მეგობრობის სიმტკიცე.

ხელოვნების ამბები

პრალიდ გამოფენაზე

ამას წინათ მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში დიდი წარმატებით ჩაიარა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხატვართა ნაწარმოებების გამოფენამ. ბევრი ნამუშევარი შეირჩა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში ჩვენებისათვის. იქ 30 მარტს გაიხსნა მხატვრულ ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც პირველი ცდაა ამიერკავკასიის მხატვართა და მოქანდაკეთა ნამუშევრები გააცნონ ჩეხოსლოვაკელებს.

რას უჩვენებენ პრაღაში ქართველი მხატვრები? ექსპოზიციაზე გაიგზავნა ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ასოცდაათამდე ნამუშევარი. პრაღელები ეცნობიან სამი თაობის მხატვართა წარმომადგენლების საუკეთესო ნამუშევრებს. ფერწერის ნაწარმოებთა შორის არის საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის „საკოლმეურნეო ბაზარი“ და „ახალგაზრდა იმერელი“, დავით კაკაბაძის „იმერეთის პეიზაჟი“, საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის „ფიროსმანი“ და „ლოჟაში“, თავიანთ ნაწარმოებებს უჩვენებენ აგრეთვე ახალგაზრდა მხატვრები — საქართველოს დამსახურებული მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, გივი თოიძე და სხვები.

ქართველ მოქანდაკეთა ნაწარმოებებიდან წარდგენილია მოქანდაკეთა ქართული სკოლის ფუძემდებლის იაკობ ნიკოლაძის „ლენინი — „ისკრის“ დამაარსებელი“, საქართველოს დამსახურებული მხატვრის ელგუჯა ამაშუკელის „კახეთი“.

საინტერესოა საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის დინარა ნოდიას გრაფიკული ნაწარმოებები სერიიდან — „ახალი დროება“.

გამოფენაზე დიდი ადგილი უჭირავს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების 80 ნაწარმოებს. ჰედურობის მოყვარულები ეცნობიან ჩვენი წამყვანი ოსტატების საქართველოს დამსახურებული მხატვრების ირაკლი ოჩიაურისა და კობა გურულის, გურამ გაბაშვილის, ანთიმოზ გორგაძის და სხვების ნაწარმოებებს.

ამიერკავკასიის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელსაც პრაღაში საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრო მართავს, დაიხურება 10 მაისს, შემდეგ მას გაეცნობიან ბრატისლავის, ბულგარეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებნი.

ხელოვნების ამბები

სახვითი ხელოვნების კვირეული

17 აპრილს დაიწყო და 23 აპრილამდე გასტანა ჩვენს რესპუბლიკაში „სახვითი ხელოვნების კვირეულმა“, რომელმაც გაგვაცნო ქართველ მხატვართა ახალი ნამუშევრები. თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების საწარმო-დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სამხატვრო გალერეებში მოეწყო გამოფენები, გაიმართა ლექციები თემაზე: „თანამედროვე ქართული ხელოვნება“; საინტერესო იყო შემოქმედთა შეხვედრები წარმოების მუშაკებთან, ინტელიგენციასთან.

კვირეულის დღეებში ღია იყო ჩვენი ცნობილი მხატვრების — ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, კოტე მერაბიშვილის, ეკატერინე ბაღდავაძის, ირაკლი ოჩიაურის, კობა გურულის, ნათელა იანქოშვილისა და სხვათა სახელოსნოების კარები. საქართველოს სამხატვრო ფონდში კი მოეწყო ჩვენი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა.

საიუბილეო გამოფენაზე





რამდენიმე ხნის წინათ თბილისში, საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიმართა სამხრეთ ოსეთის მხატვართა ახალი ნაწარმოებების საიუბილეო გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერული, გრაფიკული, კერამიკული ნამუშევრები, ქანდაკება და მხატვრულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. ექსპონატებმა ნათლად გადმოგვცეს, რა დიდი ცვლილებები მოხდა ოლქის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

საიუბილეო დღეების წინ გამოფენა გაიხსნა ცხინვალში, საქართველოს მხატვართა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების საგამოფენო დარბაზში.

საიუბილეო გამოფენა დაათვალიერეს ვასილ მჟავანაძემ, ომარ ღონღაძემ, ალექსი ინაურმა, სამხრეთ ოსეთში საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა წევრებმა.

სურათებზე: ვლადიმერ ჭელეხაევის „კოსტა ხეთაგუროვი“. სამხრეთ ოსეთის მხატვართა გამოფენის ერთ-ერთი კუთხე საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

საქართველო სავანეა ძმობისა!

ვიყვარხარ, როგორც ვეფხვისა ვეჭვიანი...



ქართველი და რუსი პოეტების მეგობრული ურთიერთობის ისტორიული ფესვები ღრმად არის გამჯდარი წარსულში. საქართველოს ბუნება, თვალწარმტაცი პეიზაჟები, ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობა ყოველთვის ანდამატივით იზიდავდა, ხიბლავდა და შთააგონებდა რუსეთის მოწინავე ადამიანებს.

1924 წლის შემოდგომისას თბილისში ჩამოვიდა სერგეი ესენინი. ეს იყო ჭეშმარიტად მეგობრული სტუმრობა, რომელიც თითქმის ნახევარ წელიწადს გაგრძელდა.

ამ პერიოდში პოეტი შემოქმედებით კრიზისს განიცდიდა. საზღვარგარეთ მოგზაურობამ ვერ დაამყოფილა პოეტის სული, ბოჰემასთან კავშირმა კიდევ უფრო გაამწვავა მისი კრიზისი.

საქართველოში ესენინი კვლავ დაეწაფა საყვარელ საქმეს — პოეტურ შემოქმედებას. აი რას წერდა გიორგი ლეონიძე: „საქართველოში დათრგუნა მან (ესენინმა — ვ. ლ.) სულიერი კრიზისი, იგრძნო ახალი ცხოვრების ძალა“.

სტუმრობის უმეტესი დრო ბათუმში გაატარა. იქ შეჰქმნა ჯერ კიდევ რუსეთში განზრახული შესანიშნავი პოემა „ანა სნეგინა“— საბჭოთა ლირიკული პოეზიის ერთ-ერთი შედევრი.

საქართველოშივე დაიწერა პოემები „ყვავილები“ და „ქვეყნის კაპიტანი“. ამ პოემებთან ერთად ესენინი ბათუმში ჰქმნის ცნობილ ლექსებს „სპარსული მოტივების“ ციკლიდან: „შაგანე ჩემო, ჩემო შაგანე!“ და სატრფიალო ლექსს „ბოსფორს არასდროს არ ვსტუმრებივარ“:

„თუმცა ბოსფორი მე არ მინახავს,
მაინც მოგითხრობ ამბავს იმაზე,
თითქოს ზღვა არის შენი თვალები
და ცისფერ ცეცხლის ლაღი სინაზე“.

თავის ცნობილ ლექსში „საქართველოს პოეტებს“ ესენინი ძმურად ეუბნება ქართველ პოეტებს:

„ჩვენი გრძნობები
კვლავ ერთი არი,
შევხარით ლექსებს
მდინარედ გაშლილს,
მიყვარხართ,
როგორც მშფოთვარე მტკვარი,
მიყვარხართ,
ლხინში და საუბარში...“

ჭეშმარიტი ერთგულებით უპასუხა ესენინმა ქართველი პოეტების — პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის და მრავალი სხვა ქართველი მეგობრის სიყვარულს. ესენინს აღაფრთოვანებდა თბილისი, ბათუმი, საქართველოს ბუნება, სადაც მან შეჰქმნა სამ ათეულზე მეტი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. 1924 წლის 20 დეკემბერს ესენინი ბათუმიდან სწერდა თავის მეგობარს გალინა ბენისლავსკაიას: „მე ხომ თითქმის ორი წელიწადი არაფერს არ ვწერდი, როდესაც საზღვარგარეთ ვიმყოფებოდი“. წერილში შემდეგ ნათქვამია, თუ როგორ ნაყოფიერად მიმდინარეობს მისი შემოქმედებითი მუშაობა საქართველოში: „ჩემს ცხოვრებაში ძალიან იშვიათი მოვლენაა, როცა ესოდენ ბევრსა და ესოდენ ადვილად ვწერ“.

ესენინმა საქართველოში დაწერა: „ბათუმი“, „კავკასიაში“,“, დიდი ლირიკულ-ეპიკური პოემა „ანა სნეგინა“, „ბრიუსოვის ხსოვნას“, „სტანსები“, პოემები — „რუსეთი მიმავალი“, „რუსეთი მიუსაფარი“ და „წერილი ქალისადმი“, „საქართველოს პოეტებს“, „წერილი დედისადმი“, „პასუხი“, „ქარბუქი“, „გაზაფხული“, „დაისის შუქი“, „არასდროს ბოსფორის არ ვსტუმრებივარ“. ესენინი წერს პოემებს — „ყვავილები“, „ქვეყნის კაპიტანი“ და „წერილი პაპას“. თბილისში, ბათუმში, კავკასიაში ესენინმა შეჰქმნა ოცდაათმეტი ნაწარმოები: ცხრა დიდი და პატარა პოემა, ოცდასამი ლექსი და ერთი ლიტერატურული წერილი. თუ გონების თვალით გადავხედავთ ამ ნაწარმოებებს, დავინახავთ, რარიგ ნათლად ბრწყინავს მათში ქართული ბუნების მადლი და ხალხის სიყვარული.

პოეტი გულთბილად, მეგობრულად მიმართავს კავკასიას ლექსში „კავკასიაში“, რომელიც 1924 წელს გამოქვეყნდა თბილისში:

„მასწავლე ამ ჩემ რუსულ
ლექსებში,
რომ შინდის წვენი
მოჩხრიალებდეს“.

პოეტმა იცოდა, რომ ძველი თქმულების მიხედვით შინდის წვენს მეომრები ბრძოლის წინ სვამდნენ და მათი გული მტრისადმი ზიზღით ივსებოდა, რომ ეს სასმელი მშვიდობიან-მოყვარე ადამიანთა ძმობისა და მეგობრობის სიმბოლო იყო.

გავიხსენოთ ესენინის მეგობრის პოეტ გიორგი ლეონიძის სიტყვები: „ჩემი მეგობარი სერგეი ესენინი დიდი მოყვარული იყო საქართველოსი. იგი ღრმად ჩასწვდა ჩვენი ქვეყნის შინაგან და გარეგან სილამაზეს, და, როგორც ჩვენთან განუცხადებია, აპირებდა ლექსების რკალის დაწერას საქართველოზე, მაგრამ უწყალო ხვედრმა აღარ აცალა!“.

როგორც გამოჩენილ რუს კლასიკოს მწერალთა შემოქმედებაში, ისე ჩვენი თანამედროვე საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში ხალხთა ძმობისა და მეგობრობის თემას ყოველთვის მთავარი ადგილი უჭირავს. ამ თბილ გრძნობებს საფუძვლად უდევს მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი.

„თუ ზეციდან ჩამომძახებს
წმინდანების კრებული:
„რუსეთს თავი დაანებე,
სამოთხეში წამოდი!“
ვუპასუხებ: „მე რად მინდა ეგ
სამოთხე ჭებული,
სამშობლოა ჩემთვის მარად
სამოთხეც და წალკოტიც“.

ვასილ ლაფერაშვილი

ცენტრალური თავდამსხმელი

ზაურ კალოევს ტელეფონით დავუკავშირდი. ოსი ხალხის დიდი დღესასწაული მივულოცე და ვთხოვე რედაქციაში შემოევლო...

41 წლის კაცს კვლავ ჭაბუკური იერი აქვს. ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს გეგონებათ, მოედანზე რომ გავიდეს, კვლავინდებურად ითამაშებსო.

...აუჩქარებლად ყვება დიდ ფეხბურთში განვლილ გზაზე.

—ომი იყო და აბა, ნამდვილ ბურთს ვინ მოგვცემდა, ნაჭრის ბურთით კი, მოგეცათ ლხენა, ვიტყავებდით ფეხებს თუმცა არც ნამდვილი ბურთის შოვნის იმედი გვქონდა გადაწყვეტილი — თვითოეული ჩვენთაგანი კამფეტის ქაღალდებს ავროვებდა, ვიღაცამ ხმა გავარცელა, ათას ცალში ტყავის ბურთს იძლევიანო. მაგრამ ერთი კი იყო — არავინ იცოდა, სად მდებარეობდა ეს „გასაცვლელი პუნქტი“... და კამფეტიც სად იყო.

თბილისში საფეხბურთო სკოლა რომ გახსნეს, პლეხანოვის თანატოლებთან ერთად, მეც მივადექი მის კარს, მაგრამ მშობლების შიშით დირექტორის ოთახამდე მისვლა ვერ გავბედე. და აი, ერთხელ ვდგევარ და მოწყენილი შევცქერი როგორ ვარჯიშობენ ჩემი თანატოლები. ვიღაც კაცი მომიახლოვდა და რატომღაც მკაცრად მკითხა — აქ რას აკეთებ? — რა იყო, ცქერა არ შეიძლება-მეთქი, ვუპასუხე განაწყენებულმა.

ცქერა რას გიშველის, მიდი, თუ გინდა ითამაშეო, მომიგო უცნობმა. მეტი რაღა მინდოდა, ავედევნე ბურთს და 10 წუთში ორჯერ ავიღე მეტოქის კარი.

თამაშის დამთავრებისთანავე იმ უცნობმა — სკოლის ერთ-ერთმა პედაგოგმა ჯონდო შავდიამ მითხრა — თუ გინდა, ჩვენს სკოლაში გადმოდი სასწავლებლადო. მთელი ღამე ვბორგავდი, დილით კი ხვაშიადი უფროს ძმას გავანდე.

...შუამავალმა იმარჯვა, ჩავირიცხე 35-ე სკოლაში.

შეიძლება იფიქრონ, რაკი სკოლა საფეხბურთო იყო, სწავლას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ნურას უკაცრავად, ორიანი კი არა, სამიანი რომ მიგეღო, ვინ მოგცემდა თამაშის უფლება. ფორმას ჩამოგართმევდნენ და სანამ ჩამორჩენას არ დასძლევდი, ბურთს არ დაგანახვებდნენ.

დადგა სკოლასთან გამომშვიდობების დღე. 18 წლის ჭაბუკი თბილისის „სპარტაკში“ ჩამრიცხეს. იმ წელიწადს 19 გუნდში მე-9 ადგილი დავიკავეთ. დავამარცხეთ მოსკოვის „დინამო“ და „სპარტაკი“, თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“. მომდევნო წელს კი მოსკოვის სამხედრო საჰაერო ძალების გუნდს, რომელიც მაშინ ერთ-ერთი უძლიერესი იყო საბჭოთა კავშირში, საკუთარ მოედანზე ექვსი მშრალი ბურთი გავუტანეთ. ამ თამაშში სამჯერ ავიღე მეტოქის კარი და სამივეჯერ თავით.

მეკითხებიან, თავით როგორ ახერხებდი ბურთების გატანასო, უბრალოდ, ფრთიდან მოწოდებულ ბურთს ვხვდებოდი იქ, საიდანაც ყველაზე ადვილი იყო მისი კარში გაგზავნა... ეს, რა თქმა უნდა, სუმრობით, სერიოზულად კი საათობით, ზოგჯერ ქანცისგაწყვეტამდე ვამუშავებდი ერთსა და იმავე ხერხს, — ფრთიდან მოწოდებული ბურთის თავით კარში გატანას. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ შემეძლო დაუსრულებლივ მეკენწლა თავით ბურთი...

1952 წლის დასაწყისში თბილისის „დინამოში“ მიმიწვიეს. აღსრულდა ოცნება.

ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ მარღანია, ავთანდილ ჭკუასელი, იბრაგიმ სარჯველაძე, შემდგომ წლებში კი შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, სლავა მეტრეველი. — აი ის ფეხბურთელები, რომელთა მხარდამხარ ვთამაშობდი...

მაშინ თბილისის „დინამოს“ განწყობის გუნდს უწოდებდნენ. ამ აზრს მეც ვიზიარებ. თუ მოვინდომებდით, შეგვეძლო ნებისმიერი მოწინააღმდეგე დაგვემარცხებინა, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ წარუმატებლობას, ისე სხვათაშორის ვეგუებოდით. საკმარისი იყო თამაში წაგვეგო, ძილგამქრალნი და კრიჭამუჭრულნი, დავლასლასებდით. რაღა დაგიმალოთ და ცრემლიც ბევრჯერ გვდენია...

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ჩემი და მიხეილ მესხის მეგობრობა. მიშა ფეხბურთის სიამოვნებას მოწინააღმდეგის მოტყუებაში ხედავდა. მე კი გოლით ვიქარგებოდი ჟინს. მიხეილი თავისი ფინტებით რომ გაერთობოდა, ვსაყვედურობდი: რას ერჩი მაგ კაცს, მომაწოდე ბურთი-მეთქი. მიხეილს ყველა მოძრაობას ვგრძნობდი. ვიცოდი, როგორ და როდის ჩამოაწვდიდა, დარტყმის სიძლიერის გამოცნობასაც კი ვახერხებდი. ამიტომაც ჰაერში ზუსტად იმ დროს ვხტებოდი, როგორც შექმნილ სიტუაციაში იყო საჭირო. როცა 1959 და 1960 წლებში საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მოვიპოვე, საჯაროდ გადავცემდი მადლობას მიხეილ მესხს, მეგობრების, გაწვრთნილობის, საუთრებით კი მიხეილ მესხის კარგი თამაში მეხმარება მეტოქის კარის აღებაში-მეთქი.

* * *

საუბრის დასასრულს სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ზაურ კალოევს რამდენიმე კითხვით მივმართე.

● იმ 117 გურთიდან რომელიც მეტოქის კარში გაიტანეთ, ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?

1961 წელს მოსკოვში „სპარტაკის“ ვეთამაშებოდით. ჩვენი მოწინააღმდეგე ჩემპიონობას უმიზნებდა და განწირახვა — თქვენგან 2 ქულა აუცილებლად უნდა ავიღოთ, პირველ წუთებიდანვე გვაგრძნობინა. დიდი ჯაფა დაადგა დაცვას, ჩინებულად ითამაშა სერგო კოტრიკაძემ და რაკი კარი ხელშეუხებელი დარჩა, თავდამსხმელებმაც არ დავიზარეთ. შევუტიეთ..., ჯერ მიხეილ მესხის, ხოლო შემდეგ ვლადიმერ ბარქაიას მოწოდებით ორი უპასუხო გოლი გავიტანე, ...ამჯერადაც ორივე თავით.

● დიდი ფეხბურთიდან წასვლისას რაზე დაგწყდათ გული?



● ● ● სურათზე: გარღვევაზეა ზაურ კალოევი.

1964 წელს, როცა თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ტრავმის გამო მხოლოდ მაყურებლის როლში გამოვდიოდი.

● ვინ მოგწონთ თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან?

კახი ასათიანი, მანუჩარ მაჩაიძე, დათო ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი... სხვათაშორის, გუცაევის თამაში ძალზე მაგონებს სლავა მეტრეველის თამაშს, თუმცა, ვიმეორებ, ჯერჯერობით მხოლოდ მაგონებს. ახვიდე მეტრეველის სიმაღლეზე — ეს მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთა ხვედრია.

● რას საქმიანობთ ამჟამად?

პროფესიით ისტორიკოსი გახლავარ, მაგრამ ფეხბურთის სიყვარულმა დამძლია. საკავშირო კატეგორიის მსაჯთან გურამ აკობაშვილთან ერთად ვავარჯიშებ თბილისის უნივერსიტეტის გუნდს.

საუბარი ჩაიწერა
ომარ მესხიშვილმა

ხავა

დიდი ლიახვის თვალწარმტაც ხეობაში, ზღვის დონიდან 1040 მეტრის სიმაღლეზე, ჯავის ქედის სამხრეთ კალთას შეფენია კურორტი ჯავა. შესანიშნავი კლიმატური პირობები, ფიზიკო-გეოგრაფიული მონაცემები, მინერალური წყლების სიუხვე თამამად აყენებს ამ დიდებულ კუთხეს რესპუბლიკის მაღალხარისხოვან კურორტთა შორის.

სამხრეთ ოსეთის მინერალური წყლები და სამკურნალო ადგილები უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ამაზე ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მიუთითებდა ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი. აქ, ლიახვის ხეობაში ამოჩუხჩუხებს მიწის გულიდან ჯავა (ძაუ-სუარი), ბაგიათი, კეხვი, ლესე, ნაგუთნი, ახუბათი, ედისი და სხვა წყაროები, მათ შორის ჯავას — ძაუ-სუარს უპირველესი ადგილი უკავია. „ძაუ“ თვით იმ ადგილის სახელწოდებაა, სადაც წყარო იბადება, „სუარი“ კი ოსურად მარილიანს ნიშნავს.

მხოლოდ ოციოდე კილომეტრი აშორებს ჯავას ოლქის ცენტრს — ცხინვალს. კურორტს ჩრდილოეთით მთიულეთის მაღალი ქედი იცავს ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან, სამხრეთით კი სურამის ქედი გზას უღობავს ნოტიო ჰაერს. ამიტომ ჯავაში მშრალი, სასიამოვნო კლიმატია.

ციფრების ენით თუ ვილაპარაკებთ, ჯავის ატმოსფერული ნალექი არც თუ მაღალია — 580-600 მილიმეტრი წელიწადში. წვიმა ხშირად მოდის, მაგრამ მალე გადაიავდრებს ხოლმე. წელიწადში მზიანი საათების რაოდენობა 2.280 საათამდე აღწევს, საშუალო წლიური ტემპერატურა კი 8 გრადუსს უდრის. ყველაზე ცივი თვე — იანვარი მხოლოდ 3 გრადუსი ყინვით აღინიშნება, ყველაზე თბილი — ივლისი კი 18 გრადუსზე მეტი სიცხით იშვიათად გვაწუხებს.

როგორც სისტემატურმა დაკვირვებებმა მეცნიერებს უჩვენეს, ჯავის მინერალური წყლები მაღალი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევიან და ანალოგიური არიან ესენტუკის, ზვარესა და ემსის (გერმანია) წყლებისა.

სამეცნიერო გამოკვლევებმა ცხადყვეს აგრეთვე კურორტ ჯავას ძირითადი ფაქტორების ფიზიოლოგიური და თერაპიული მოქმედება კარგი შედეგით. ეს წყლები წარმატებით გამოიყენება საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოთა დაავადების დროს.

დღეისათვის ჯავაში არის მოზრდილთა და ბავშვთა სანატორიუმები, დასასვენებელი სახლი, პოლიკლინიკა, ტურბაზა, მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა, ჰიდროგეოლოგიური საკონტროლო-სამეთვალყურეო სადგური და სხვა.

რესპუბლიკისა და ოლქის მესვეურები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახლო მომავალში ჯავამ საპატიო ადგილი დაიკავოს საკავშირო მნიშვნელობის კურორტთა შორის.

მიხეილ ნოდია,
პროფესორი.



სურათზე: სანატორიუმი „ძაუ“.

„ცხინვალს ზემოთ ორმოც ვერსტზედ, ამ სოფლებში კლდეში ნამდვილი ბუნებით ზელტერის და სხვა მუავე წყლები გამოდის... ეს წყლები მე თვითონ ვნახე, ადვილად შეიძლება იქვე ბოთლებში ჩაასხას კაცმა და ქალაქში მიიტანოს. გასაყიდათ“.

ა. თუთაევი, „დროება“, № 117, 1872 წელი.



დიდების დამბრუნებელი



სურათზე: დიტო შანიძე თავის სტიქიაშია...
ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

სიმაღლეზე მხტომელთა ვარჯიში დასასრულს უახლოვდებოდა. ტანაშოლტილი სპორტსმენები ერთმანეთის მიყოლებით სძლევდნენ თავზევით გადებულ თამასას. მაინც იგრძნობოდა, რომ ჩაკუთარი შესაძლებლობის მთლიანად გამომჟღავნებას არავინ ცდილობდა, თითოეული „მთავარ ნახტომს“ მეორე დღისათვის ინახავდა, როდესაც გამარჯვებულს საზღაურად ყველაზე საპატიო ტიტული — მექსიკის ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონის სახელი მოელოდა.

სიმაღლეზე მხტომელებს მიუახლოვდა ერთი დაბალი ტანის, დაკუნთული ახალგაზრდა. იკითხა, თამასა რა სიმაღლეზეა გადებული.

ვიღაცამ ცალყბად მიუგდო, რაო, გადახტომას ხომ არ აპირებო?!

ცდა ბედის მონახევრეთო, ჩაილაპარაკა დაუპატიჟებელმა სტუმარმა და ადგილს მოსწყდა: 158 სანტიმეტრი სიმაღლის კაცი 190 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო!

მეორე დღეს მექსიკის გაზეთებმა ქვეყანას ამცნეს სენსაცია, თუ როგორ დაიპყრო „ქოსმოსური სიმაღლე“ საბჭოთა შტანგისტმა დიტო შანიძემ.

მექსიკის ოლიმპიურ ასპარეზობებზე მომხდარი საოცრება დიტო შანიძეს რომ გავახსენე, გაეღიმა:

— მძლეოსნობა ჩემთვის უბრალო გატაცება როდია, სანამ შტანგისტი გავხდებოდი, სირბილს, სიმაღლეზე ხტომასა და ფეხბურთს ველტვოდი, საუკეთესო წლები სწორედ სპორტის ამ სახეობებს მივუძღვენი.

დიახ, ძალოსნობით დიტო მართლაც მოგვიანებით დაინტერესდა, როცა მისი თანატოლები უკვე მსოფლიო რეკორდებს უტევდნენ. საბჭოთა არმიაში გაწვევამდე ქუთაისის „დინამოში“ მარცხენა გარემარბად თამაშობდა. ფეხბურთისათვის არც სამხედრო სამსახურის დროს ულალატია. შინ დაბრუნებულმა ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში დაიწყო მუშაობა და შეუდგა წვრთნას, რათა მშობლიური ქალაქის სპორტული სახელი კვლავ დაეცვა მწვანე მინდორზე.

უჩვეულო ჯან-ღონის პატრონს ერთი შეგობარი აუხირდა: წავიდეთ, ვსინჯოთ, ვინ მეტ სიმძიმეს ასწევსო. ძალოსანთა სავარჯიშო დარბაზს მიაშურეს და განმხჯელად ქუთაისელ შტანგისტთა გუნდის თავი ბოსდო კუპუხიძე მიიწვიეს. ძალოსნობაში ბევრის მნახველი ბოდო სახტად დარჩა: დიტომ, რომლის წონა 60 კილოგრამს ძლივს აღწევდა, 90-კილოგრამიანი შტანგა ისე მსუბუქად და მარჯვედ ასწია, რომ უნებლიეთ იფიქრებდით, ამ კაცმა თუ მოინდომა, ორ ამდენსაც იოლად ასწევსო... დიტომაც მოინდომა. აგერ ათ წელიწადზე მეტია რკინასთან ჭიდილში ამტკიცებს, რომ ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს, რომ მსოფლიო რეკორდი, რაოდენ ფანტასტიკურადაც უნდა გვეჩვენებოდეს, აუცილებლად დაიჯაბნება, რომ მჯობნის მჯობნი ქვეყნად არ დაილევა...

პირველი სერიოზული ნაბიჯი დიტომ 1963 წელს გადადგა — ქვემსუბუქ წონის ძალოსანთა შორის საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

1964 წელს დიტო უკვე საქართველოს რეკორდსმენია, აკვრაში 140 კილოგრამიანი შტანგა დასძლია. ამავე წელს დიტო ქუთაისიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და ფიზკულტურის ინსტიტუტში დაიწყო სწავლა.

1965 წელს საბჭოთა კავშირის ძალოსანთა გუნდურ პირველობაზე დიტომ ვერცხლის მედალი მოიპოვა და ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი გახდა.

ამ ხნიდან მოყოლებული ვინ მოთვლის, დიტომ საბჭოთა კავშირის თუ ევროპის რამდენი რეკორდი დაამყარა. მაგრამ წარმატებებს წარუმატებლობაც სდევდა ზოგჯერ. ქართველმა სპორტსმენმა ვერ იქნა და ვერ შეძლო იაპონელი იოსინობუ მიიაკეს დამარცხება — მასთან ჰიდილში დიტო ვერცხლს სჯერდებოდა. მაგრამ გულს არ იტეხდა — სწვამდა, სჯეროდა საკუთარი გამარჯვებისა და აკი გაიმარჯვა კიდეც.

ამ რამდენიმე დღის წინათ ესტონეთის დედაქალაქ ტალინში თავი მოიყარეს საბჭოთა კავშირის უძლიერესმა ძალოსნებმა. მოახპარეზეთა შორის იყო ქართველი სპორტსმენი, მექსიკის ოლიმპიურ ასპარეზობათა ვერცხლის მედლის მფლობელი, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი დიტო შანიძე.

12 აპრილს თბილისში სასიხარულო ცნობა მოვიდა ტალინიდან — დიტო შანიძემ ქვემსუბუქ წონის ძალოსანთა შორის პირველად გადალახა 400 კილოგრამიანი ზღვარი და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. აი რას წერენ საკდესის სპეციალური კორესპონდენტები: „რეკორდს, რომელიც დღეს ტალინის „კალევის“ სპორტული სახლის ფიცარნაგზე იშვა, უთუოდ აღნიშნავენ მემატიანენი, 34 წლის თბილისელმა დიტო შანიძემ დასძლია „მაგიური“ — 400-კილოგრამიანი ზღვარი. მან მეოთხედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. დღეს მსოფლიო რეკორდი სამჯიდში 402,5 კილოგრამია! აქვე უნდა დავძინოთ, რომ დიტომ ევროპის რეკორდი ატაცში 122,5 კილოგრამამდე აიყვანა.

ქვემსუბუქი წონა დიდი ხნის მანძილზე „ავარიულად“ თვლებოდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა 29 წლის დიტო შანიძემ, ზოგის აზრით უპერსპექტივო სპორტსმენმა, პირველად შედგა ფეხი დიდ ფიცარნაგზე, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ იგი ტოლს არ დაუდებდა იაპონელ ძალოსანთა თაობას ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის იოსინობუ მიიაკეს მეთაურობით. დღეს კი დიტომ არა მარტო 2,5 კილოგრამით გაიუმჯობესა იაპონელთა აღიარებული ლიდერის რეკორდი, არამედ საბჭოთა ძალოსნებს კვლავ დაუბრუნა 15 წლის წინათ დაკარგული დიდება სამჯიდში“.

...ტალინში მოპოვებულ გამარჯვებაზე დიტოსთან რომ ვლაპარაკობდით, მიუხნენიც ვახსენეთ.

—იქ შტანგა კიდევ უფრო დამძიმდება,—მითხრა მასპინძელმა და დასძინა, — ბრძოლაც უფრო ძალუმი და უკომპრომისო იქნება. როგორც მსოფლიო რეკორდსმენი, მეტოქეთა სამიზნე მე გავხდები, მაგრამ არ მეშინია. ჩემი შანსიც ხომ ცხადი და ნათელია — ავიდე ოლიმპიური ჩემპიონის უმაღლეს კვარცხლბეკზე.

რევაზ მაჭავარიანი

„სამშობლო“ — სპორტი 72

რამდენიმე ხნის წინათ სამშობლოში დაბრუნდა ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი და უცხოეთში გადახვეწილი ივლიანე ნადარეიშვილი, რომელიც ჩვენს რედაქციაში მოვიდა და გადმოგვცა ლექსი, რასაც მისი თხოვნით ვაქვეყნებთ არა როგორც პოეზიის ნიმუშს, არამედ როგორც სამშობლოში დაბრუნებული კაცის მოთხოვნილებად ქცეულ გულისთქმას.

„სამშობლოს“

ეს ხომ აზრია სულის ნათელი,
იქ მცხოვრებ ქართველს რომ აწვდის ანბანს,
ეს მშობლიური ჩემი გაზეთი
მშობლიურ მიწის მაცნობდა ამბავს.
გრძნობით ხალასი, სიტყვა ახალი,
იავნანინას მსგავსად კეთილი,
სულით მდიდარი, აზრი მაღალი,
ქართულ ანბანით გამოკვეთილი.
დედის რძის აზრი, მამის სიკეთე,
ეს გაზეთია ჩემი „სამშობლო“, —
შენი იმედით გულებს იკეთებს
თუ ვინმე ტირის, თუ ვინმე ობლობს.
ჰო, გაზეთი ხარ სიტყვაკაზმული,
გულის ვარამს რომ მიმოუფანტავ,
თეთრ ქაღალდზე ხარ მძივად ასხმული,
კაცურ კაცობის სიკეთეს ხატავ.
შენ ნათელი ხარ მშობლიურ მიწის,
გზას რომ გვინათებ — გვატარებ აღმა,
მე ეს მჯეროდა ჯერ კიდევ იქეთ,
ოკეანეთა საზღვრების გაღმა.
ხშირად ვითვლიდი დღეებს ნატყვიარს,
მქენჯნიდა უცხო ქარების მრუში,
მწარე წარსული ეხლაც მატყვია,
მაგრამ დამითბეს ჩემს სამშობლოში...
ეს ხომ აზრია სულის ნათელი,
ბეჭდური მადლი ყველა ქართველის,
ეს „სამშობლოა“ ჩემი გაზეთი,
სულს რომ ჩაჰბერავს სასოწარკვეთილს.

ივლიანე ონტოფელი (ნადარეიშვილი)

თბილისი. 14. 4. 72.

სპორტული ქრონიკა

ფეხბურთი

თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის პირველობაზე ოთხი მატჩი გამართა. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, პირველი შეხვედრა ქართველ ფეხბურთელებს საკუთარ მოედანზე მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ჰქონდათ და უშედეგოდ — 0:0 დამთავრდა. მეორე მატჩში თბილისელები მოსკოველ თანაკლუბელებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. მესამე ტურში მათი მასპინძელი მინსკის „დინამო“ იყო. ამ შეხვედრაში თბილისელებმა პირველი მარცხის სიმწარეც იგრძნეს. მეტოქის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთი ჯუბასუხოდ დარჩა. სამაგიეროდ, ჩვენი რესპუბლიკის უპირველესმა გუნდმა თავი ისახელა მოსკოვში ადგილობრივ „ტორპედოსთან“ გამართულ მატჩში. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს აკლდათ მურთაზ ხურციელავა და რევაზ ძოძუაშვილი, რომლებიც მიწვეული არიან საბჭოთა კავშირის ნაკრებში, მეტოქე მაინც დიდი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს. დღეისათვის თბილისის „დინამოს“ ოთხი შეხვედრიდან ხუთი ქულა აქვს და მეხუთე ადგილზე იმყოფება.

* * *

კარგად აიღო სტარტი ქუთაისის „ტორპედომ“, რომელიც წელიწადს „ა“ კლასის პირველ ჯგუფში გამოდის. ქუთაისელებს სამი თამაშიდან ექვსი ქულა აქვთ და პირველ ადგილზე არიან.

ქუთაისის „ტორპედო“, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად მოსკოვის „სპარტაკიდან“ გადმოსულ მეკარე ანზორ კავაზაშვილსა და თავდამსხმელ ჯემალ სილაგაძეს ვხედავთ, იმედი გვაქვს, კვლავ დაუბრუნდება უმაღლეს ლიგას.

კალათბურთი

საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი ამერიკელი კალათბურთელები საქართველოს დედაქალაქსაც ეწვივნენ. 6 მაისს ისინი თბილისის „დინამოს“ შეხვდებიან, 7 მაისს კი ამერიკელ სპორტსმენთა წინააღმდეგ საქართველოს ნაკრები ითამაშებს.

ჭადრაკი

10 მაისს რიგაში დაიწყება მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილსა და ალა კუშნირს შორის. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი კარგა ხანია უკვე ლატვიის დედაქალაქში იმყოფება.

გამგზავრების წინ კორესპონდენტებთან საუბარში ნონამ განაცხადა — მატჩისათვის მოსამზადებლად დარჩენილი დრო მინდა რიგაში გავატარო, აქვე გავივლი აკლიმატიზაციას. კუშნირის სახით მყავს ძლიერი მოწინააღმდეგე. ის ფაქტი, რომ მან მესამედ მოიპოვა მსოფლიოს პირველობაზე მატჩის უფლება, ბევრს მეტყველებს. თუ გადავხედავთ მის გამოსვლებს ამ ბოლო წლებში, შევნიშნავთ, რომ ალამ ყველგან საპრიზო ადგილი დაიპაყრა. ეს კი ცხადყოფს მის საბრძოლო განწყობილებას, დიდ საჭადრაკო ძალას.

შეჯიბრების დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. ნონა თუ ალა? ამ კითხვაზე პასუხს თვით მატჩი გასცემს. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი კვლავ საქართველოში დარჩება.

* * *

ფიდე-ს საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის XIV სხდომაზე „ფიდეს“ ალბომებში (აქ იბეჭდება მსოფლიოში საუკეთესო საკომპოზიციო ნამუშევრები) შეტანილი თვალსაჩინო ნაწარმოებებისათვის, სხვა საბჭოთა კომპოზიტორებთან ერთად, საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს იოსებ კრიხელს.

იოსები ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია, ცხოვრობს და მუშაობს ქალაქ გორში.

ჩოგბურთი


რომში სტარტი აიღო იტალიის ღია ჩემპიონატმა ჩოგბურთში, რომელშიც სხვებთან ერთად გამოდის ევროპისა და საბჭოთა კავშირის ამსოლუტური ჩემპიონი ალექსანდრე მეტრეველი.


სტარტზე თბილისელმა სპორტსმენმა დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ჯონი მაკ-მანუსი.

ასოები

სტუდენტებო! ამ ნომერში ჩვენ ვიწყებთ ახალ სერიას — ვისწავლით ქართული ანბანის ასოებს. ამ ასოებით ბეჭდავენ ჩვენს გაზეთს, ამ ასოებით იწერება ყველა ქართული წიგნი.

მაკვლევლები 15





გ ზ ი

გზა-ზე. კა-ზა-კი. თვე-ზი. ზიხ. ოდესაც ეზოში. ზეიხი თევზია. ეს ფეთქს თევზს. ის გზაზე ვიპოვე. ეს კოვზი ეზიანება. ეს გზაზეა ზეზეული.




ზ ვ რ ი


ზვრი ზვა-ზი


ზ ვ რ ი

ზვრი. ფუ-ზი. კი-ზე. ზეკა-ზი. თეთ-ზი. ბა-ზი. ზვრის ხმა იხმის. ეს ვაზია. ფეხქვეშ წყვა ფეხი. ეს ეზოში ზის.





მაკვლევლები 16











ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/X 1939 წ. ქაღალდის ზომა 60×92 1/8. ნაბეჭდი თაბახი 6. ტირაჟი 66488. შეკვეთა № 3030. ფასი 6 კაპ.

ჩვენი მისამართი: გაზეთ „ახალგაზრდა ლენინელის“ რედაქცია. ქუთაისი, ზ. ჭავჭავაძის ქუჩა № 42. ტელეფონები: 93-53-44, 93-56-25.
შესწორებით მცხოვრებ თანამშრომლებისათვის ქუთაისის სტამბა — თბილისი, ა. ყაზბეგის ქუჩა № 25.